უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება

ქ. თბილისი

2017 წლის 04 მაისი

მხარეები:

(1) მყიდველი - ეგვიპტის არაბული რესპუბლიკის მოქალაქე ჰაზემ მოჰამედ აბდალმონეიმ ფარაგ[პასპორტის ნომერი: A05097161]

(2) გამყიდველი -შპს „კრწანისივილარეზიდენსი **KRTSANISI VILLA RESIDENCE** "[საიდენტიფიკაციო კოდი:**404458779**] წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი კორკოტაძის [პირადი ნომერი:01003010499]მიერ

იმის გათვალისწინებით, რომ:

- გამყიდველი საკუთრების უფლებით ფლობს ქ. თბილისში, დასახლება ოქროყანაში(ნაკვეთი 02/068)მდებარე მიწის ნაკვეთს საკადასტრო კოდით 01.18.01.002.184 (შემდგომში მიწის ნაკვეთი),
- გამყიდველი წარმოადგენსსამშენებლოკომპანიას, რომელიც უზრუნველყოფს მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის(შემდგომში შენობა-ნაგებობა) მშენებლობას,
- მყიდველი დაინტერესებულია შეიძინოს უძრავი ქონება ზემოაღნიშნულ შენობა ნაგებობაში და თანახმაა გადაიხადოს ნასყიდობის ფასი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით,
- გამყიდველი თანახმაა გადასცეს მყიდველს ნასყიდობის საგანი საკუთრების უფლებით ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და მყიდველის მიერ ნასყიდობის ფასის სრულად გადახდის შემთხვევაში,

მხარეები ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებისსაგანი

1. გამყიდველი გადასცემს, ხოლო მყიდველი მიიღებს საკუთრების უფლებას ამხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებულ ქონებაზეწინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად და მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემდეგ.
2. მყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს გამყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ნასყიდობის ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

მუხლი 2. ნასყიდობისსაგანი

1. ნასყიდობის საგანს წარმოადგენს შემდეგი უძრავი ქონება:
   - ზონა – თბილისი
   - სექტორი – კრწანისი
   - კვარტალი – 01
   - ნაკვეთი – 002/184

- სართული – 2
- ბინა – 38
- საერთო ფართი – 76,5
- მათ შორის საცხოვრებელი ფართი – 76,5
- საზიფხულო ფართი – 0
- მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – 01.18.01.002.184
- მისამართი – ქ. თბილისი, დასახლება ოქროყანა (ნაკვეთი 02/068)/ქალაქი თბილისი, დასახლება ოქროყანა

2. ნასყიდობის საგნის გეგმარება (დანართი #1) თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
3. გასაყიდი ქონება არის სამომავლო, ვინაიდან მისი აშენება და წინამდებარე ხელშეკრულების #2 დანართითგანსაზღვრულ მდგომარეობაში მოყვანა მოხდება გამყიდველის მიერ ამ ხელშეკრულების მე–5 მუხლის მე–4 პუნქტით დადგენილ ვადებში.
4. მშენებლობის პროცესში ნასყიდობის საგნის ფართმა შესაძლოა განიცადოს ცვლილება3 (სამი) კვ.მ.-ის ფარგლებში, რაც გავლენას არ მოახდენს ნასყიდობის ფასზე.იმ შემთხვევაში თუ ნასყიდობის საგნის ფართი განიცდის ცვლილებას 3კვ.მ.-დან არაუმეტეს 5კვ.მ.-ის ფარგლებში, აღნიშნული სხვაობა ექვემდებარება ანაზღაურებას შესაბამისი მხარის მიერ უძრავი ქონების გადაცემის აქტის ხელმოწერამდე, რაც პროპორციულად გამოიწვევს ნასყიდობის ფასის ცვლილებას. ამ პუნქტით გათვალისწინებული ცვლილებები არ განიხილება როგორც ნასყიდობის საგნის ნაკლი.

მუხლი 3. ნასყიდობისსაგნისჩაბარებისპირობები

1. გამყიდველი იღებს ვალდებულებას მყიდველს გადასცეს ნივთობრივად და უფლებრივადუნაკლო ქონება.
2. ნივთობრივად უნაკლო ქონების ქვეშ მყიდველი და გამყიდველი გულისხმობენ ნასყიდობის საგანს დანართი #2-ით გათვალისწინებულ მდგომარეობაში.
3. უფლებრივად უნაკლო ქონების ქვეშ მყიდველი და გამყიდველი გულისხმობენ იმას, რომ მესამე პირს არ შეუძლია წაუყენოს მოთხოვნები მყიდველს ნაყიდი ქონების გამო.

მუხლი 4. ნასყიდობისფასი და ანგარიშსწორების პირობები

1. გასაყიდი ქონების ღირებულებაა 72 500 (სამოცდათორმეტი ათას ხუთასი)აშშ დოლარი.ნასყიდობის ფასი მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.ანგარიშსწორება იწარმოებს გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლითი კურსით ლარში.
2. ნასყიდობის ფასს 72 500 (სამოცდათორმეტი ათას ხუთასი) აშშ დოლარს მყიდველი იხდის ავანსის სახით შემდეგი წესით:

2.1. 3 000 (სამი ათასი) აშშ დოლარის არაუგვიანეს წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან სამი სამუშაო დღის ვადაში;

2.2. 40000(ორმოცი ათასი) აშშ დოლარს არაუგვიანეს 2017 წლის 20 მაისისა;

2.3. 29 500 (ოცდაცხრაათას ხუთასი) აშშ დოლარს არაუგვიანეს 2017 წლის 01 აგვისტოს;

3. ამ მუხლის 2.1. და 2.2. ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ თანხაზე მყიდველის მიერ ანგარიშსწორების პირობის დარღვევა იწვევს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტას.

4. მყიდველის მიერ ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის გადახდის გზით:

   მიმღები - **შპს „კრწანისივილარეზიდენსი KRTSANISI VILLA RESIDENCE "** [ს/ კ:**404458779**]
   ბანკი – სს „თიბისი ბანკი"
   ბანკის კოდი – TBCBGE22
   ანგარიში: GE37TB7775636020100001

მუხლი 5. ნასყიდობისსაგანზე საკუთრების უფლების გადაცემა

1. მყიდველს საკუთრების უფლება ნასყიდობის საგანზე გადაეცემა მყიდველის მიერ ნასყიდობის ფასის ამ ხელშეკრულების მე–4 მუხლით განსაზღვრული წესით სრულად გადახდის, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ნებისმიერი სხვა დავალიანების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სრულად გადახდის შემდეგ, მაგრამ არაუადრეს 2017 წლის 01 აგვისტოს; აღნიშნული ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ მხარეებს შორის დაუყოვნებლივ დგება უძრავი ქონების გადაცემის აქტი. <u>უძრავი ქონების გადაცემის აქტის საფუძველზე მყიდველს გადაეცემა საკუთრების უფლება ნასყიდობის საგანზე.</u>
2. უძრავი ქონების გადაცემის აქტის ხელმოწერისას, მყიდველის მიერ ავანსის სახით გადახდილი თანხა ჩაითვლება ნასყიდობის ფასის ანგარიშში.
3. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში უძრავ ქონებაზე მყიდველის საკუთრების უფლების დარეგისტრირებისთვის საჭირო პროცედურებს ჩაატარებს გამყიდველი.
4. გამყიდველი უზრუნველყოფს ნასყიდობის საგნის შესაბამისობაში მოყვანასდანართი #2-ით გათვალისწინებულ პირობებთან არაუგვიანეს 2017 წლის 31 სექტემბრამდე.
5. დანართი #2 -ით გათვალისწინებულ პირობებთან ნასყიდობის საგნისშესაბამობის დადასტურების მიზნით,მხარეებს შორის დგება მიღება-ჩაბარების აქტი. გამყიდველის შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 5(ხუთი)დღის ვადაში მყიდველი ვალდებულია შეამოწმოს ნასყიდობის საგანის მდგომარეობა და ხელი მოაწეროს მიღება-ჩაბარების აქტს ან დასაბუთებული წერილობითი პრეტენზიით მიმართოს გამყიდველს შესაბამისი ნაკლის (დანართი #2-ით გათვალისწინებულ პირობებთან შეუსაბამობა) გამოსწორების მოთხოვნით. თუ მყიდველი არ მოაწერს ხელს მიღება-ჩაბარების აქტს და არც დასაბუთებული წერილობითი პრეტენზიით მიმართავს გამყიდველს, ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვისთანავე ჩაითვლება, რომ მყიდველმა დაადასტურა ნასყიდობის საგნის შესაბამისობა დანართი #2-ით გათვალისწინებულ პირობებთან.
6. მყიდველი არ არის უფლებამოსილი გამყიდველის მიერ ნასყიდობის საგანის დანართი #2-ით გათვალისწინებულ კონდიციაში მოყვანამდე და მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების და უძრავი ქონების გადაცემის აქტის გაფორმებამდე საკუთარი ინიციატივით აწარმოოს ფართში სარემონტო და/ან ნებისმიერი სხვა სახის სამუშაოები.
7. მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია ნასყიდობის საგანში გამყიდველის მიერ დამატებითი სამუშაოების წარმოება და/ან მასალების ცვლილება. გამყიდველის მიერ დამატებით წესასრულებელი სამუშაოების და/ან შეცვლილი მასალების სპეციფიკაციას, ღირებულებას და ვადებს მხარეები ათანხმებენ წერილობით.

მუხლი 6. უძრავ ნივთთან დაკავშირებული ვალდებულების/მყიდველისუფლებებისწინასწარირეგისტრაცია

1. მყიდველის მიერ ამ ხელშეკრულების მე–4 მუხლის 2.2.ქვეპუნქტით გათვალისწინებულ თანხაზე ანგარიშსწორების შემდგომ, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მიწის ნაკვეთზე (მისამართი:ქ. თბილისი, დასახლება ოქროყანა (ნაკვეთი 02/068)/ქალაქი თბილისი, დასახლება ოქროყანა; საკადასტრო კოდი:01.18.01.002.184) განხორციელდება მყიდველის მიერ ინდივიდუალურ საკუთრებაში მისაღებ ფართზე მისი სამომავლო უფლებების წინასწარი რეგისტრაცია, უძრავი ნივთის (მიწის ნაკვეთის) ვალდებულების გრაფაში შესაბამისი შეზღუდვის რეგისტრაციის გზით;
2. მყიდველის სამომავლო უფლების რეგისტრაცია გამორიცხავს ნასყიდობის საგანზე მომავალში რაიმე სხვა უფლების რეგისტრაციას, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
3. ამ მუხლით გათვალისწინებული წესით მყიდველის სამომავლო უფლების რეგისტრაციის ხარჯებს გაიღებს გამყიდველი.
4. მყიდველის სამომავლო უფლების რეგისტრაცია ხორციელდება გამყიდველის მიერ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი შესაბამისი განცხადების საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს წინამდებარე ხელშეკრულება.
5. ნებისმიერი საფუძვლით წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შემთხვევაში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მყიდველის სასარგებლოდ რეგისტრირებული შეზღუდვები - უფლების წინასწარი რეგისტრაცია ექვემდებარება გაუქმებას. ამ მიზნით მყიდველი ვალდებულია დროულად, მაგრამ არაუგვიანეს ხელშეკრულების მოშლიდან 5 დღის ვადაში ხელი მოაწეროს ყველა აუცილებელ დოკუმენტს, რის საფუძველზეც უნდა გაუქმდეს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მყიდველის წინასწარი უფლება/უძრავ ნივთთან დაკავშირებული ვალდებულებები. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მყიდველს პირგასამტეხლოს სახით ნასყიდობის ფასის 0,1%-ის ოდენობა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მყიდველს მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების (შეზღუდვის/უფლების წინასწარი რეგისტრაციის გაუქმების მიზნით სათანადო თანხმობის გაცემის) მოვალეობისაგან.
6. ნასყიდობის საგანზე მყიდველის სამომავლო უფლების/გამყიდველის ვალდებულებების რეგისტრაციის მიუხედავად, მყიდველი წინასწარ აცხადებს თანხმობას და ანიჭებს გამყიდველს უფლებამოსილებას, რათა მანგაანახორციელოს ნებისმიერი სახის ცვლილებები მიწის ნაკვეთზე (ს/კ:01.18.01.002.184) მშენებარე სახლის საპროექტო-სამშენებლო დოკუმენტაციაში, მათ შორის ნასყიდობის საგანზე, უზრუნველყოს მათი შეთანხმება სსიპ არქიტექტურის სამსახურში, ქ. თბილისის მერიაში და ნებისმიერ სახელმწიფო უწყებასთან, კორექტირებული სამშენებლო დოკუმენტაციის შესაბამისად ფართების რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

მუხლი 7. პასუხისმგებლობავალდებულებებისდარღვევისთვის

1. წინამდებარე ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა ჯეროვანი შესრულება.

2. წინამდებარე ხელშეკრულების მე–5 მუხლის მე–4 პუნქტით გათვალისწინებული ვადის180 კალენდარულ დღეზე მეტით გადაცილების შემთხვევაში, მყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს გამყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა ზემოაღნიშნული 180 (ასოთმოცი) დღიანი პერიოდის შემდეგ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მყიდველის მიერ გადახდილი თანხის 0,1%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ნასყიდობის ფასის 10%-ისა ან მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება გამყიდველისათვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე და მოსთხოვოს გამყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა ნასყიდობის ფასის 10%–ს ოდენობით.
3. მყიდველის მიერ ხელშეკრულების მე–4 მუხლის 2.2. და/ან 2.3. ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ნასყიდობის ფასის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, გამყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადასახდელი თანხის 0,1%-ისოდენობით. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოვალეობისგან.
4. თუ მყიდველი დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულების მე–4 მუხლის 2.3.ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის გადახდის ვადას და ამგვარი ვადაგადაცილება აღემატება100 კალენდარულ დღეს, გამყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მყიდველს პირგასამტეხლოს სახით ნასყიდობის ფასის20%-ს გადახდა და მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება მყიდველისთვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნით.
5. მყიდველის მიერ ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ხელშეკრულების მოშლა ხორციელდება ამ მუხლის მე–2 პუნქტით განსაზღვრული გარემოებების შედეგად) გამყიდველი უფლებამოსილია დააჯისროს მყიდველს, ხოლო მყიდველი ვალდებულია გადაიხადოსპირგასამტეხლო ნასყიდობის ფასის20%-ს ოდენობით.
6. ამ მუხლის მე-4 ან მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამყიდველი უკან დაუბრუნებს მყიდველს მის მიერ ავანსის სახით გადახდილ თანხას ნასყიდობის საგნის მესამე პირზე რეალიზაციის შემთხვევაში, ბაგრამ არაუგვიანეს ხელშეკრულების მოშლიდან და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში უძრავ ნივთზე რეგისტრირებული შესაბამისი შეზღუდვის მყიდველის სამომავლო უფლების) გაუქმებიდან 2 წლის განმავლობაში. ამ ხელშეკრულების საფუძველზე დარიცხული პირგასამტეხლოს და ზიანის გამოკლებით.
7. მხარეები უფლებამოსილნი არიან გადასცილი ან გადასახდელი თანხებიდან გამოქვითონ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლო და ზიანი.

მუხლი8. ხელშეკრულებისმოქმედება

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე, გარდა ამ ხელშეკრულების პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 9. ნასყიდობისსაგანთანდაკავშირებულიშეზღუდვები

1. მყიდველი აცნობიერებს,რომშენობა-ნაგებობის აშენებისა და ექსპლუატაციაშიმიღებისშემდეგშეიქმნებაახალაშენებული საცხოვრებელი სახლში ინდივიდუალურისაკუთრების (ბინის, ავტოსადგომის, კომერციული/არასაცხოვრებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მათშორისდამხმარეფართის) მესაკუთრეთაგაერთიანება -

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა - რომლისსაქმიანობამოწესრიგდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობისწესდებით.

2. აშენებულ ქონებაზე ინდივიდუალური საკუთრების შეძენის დღიდან (აშენებული ფართის ინდივიდუალურ საკუთრებაში რეგისტრაციის მომენტიდან) მყიდველი გახდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრი და შეიძენს ყველა იმ უფლებასა და ვალდებულებას, რაც გათვალისწინებულია კანონით და რაც გათვალისწინებული იქნება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წესდებით.
3. წინამდებარე ხელშეკრულებით მყიდველი როგორც მომავალი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრი, წინასწარ აცხადებს თანხმობას ამ ხელშეკრულებით და ამხანაგობის წესდებით გათვალისწინებულ ნებაყოფლობით შეზღუდვებზე, რომელიც სავალდებულო იქნება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ყველა წევრისთვის.
4. მყიდველი გამოხატავს თანხმობას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შექმნის შემდეგ, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობასა და გამყიდველს ან გამყიდველის მიერ მითითებულ პირს შორისგაფორმდეს ხელშეკრულება საცხოვრებელი სახლის მოვლა-პატრონობაზე და კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მომსახურების ყოველთვიური საფასური ამხანაგობის მიერ დადგენილი ოდენობითა და წესით.
5. ქონებისმესამე პირზე გასხვისების შემთხვევაში მყიდველიიღებს ვალდებულებასქონება გაასხვისოს იმპირობით, რომშემძენიპირიგანაცხადებსწერილობითთანხმობასიკისროსამმუხლითდაამხანაგობისწესდებით დადგენილიუფლება-მოვალეობები. ასეთითანხმობადამოწმებულიუნდაიყოსნოტარიულად. ქონებაზესაკუთრების უფლების წარმოშობის მომენტიდან შემძენი პირი გახდება ახალაშენებული კომპლექსის მოვლა-პატრონობაზე გაფორმებული ხელშეკრულების მონაწილე და იღებს ვალდებულებას დაიცვას აღნიშნული ხელშეკრულებით დადგენილი უფლებები და ვალდებულებები.
6. ამმუხლში მოცემული პირობების ქონების სხვა შემძენებისთვის (მოთხოვნის უფლების დათმობის თუ სხვა ფორმით საკუთრების უფლების შეძენით) ინფორმირების ვალდებულება ეკისრება მყიდველს. იმ შემთხვევაში თუ ნასყიდობის საგანი აღმოჩნდება სხვა პირის საკუთრებაში ისე, რომ არ იქნება გამოთქმული თანხმობა ამ მუხლში (ამხანაგობის წესდებაში და მოვლა-პატრონობის ხელშეკრულებაში) დადგენილი პირობების მიღებისა და დაცვის თაობაზე, მყიდველს დაეკისრება მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

მუხლი 10. საავტორო უფლებების დაცვა

1. მყიდველი იღებს ვალდებულებასარშელახოს შენობა-ნაგებობისარქიტექტურულპროექტთან და დიზაინთანდაკავშირებულისაავტოროუფლებები.
2. მყიდველი ვალდებულია გამყიდველის, ავტორის და საავტოროუფლებისმქონეპირისთანხმობისგარეშეარგანახორციელოს შენობა-ნაგებობის პროექტის და/ან ექსტერიერის და საერთო სარგებლობის ფართების დიზაინის რაიმესახით ცვლილება, რაცგულისხმობსმაგრამარშემოიფარგლებაშემდეგით: ღიობისამოშენება, მიშენება, გადაკეთება, ასევეექსტერიერისფორმისდაფერისშეცვლა, შიდა ტიხრების მოშლა ან/და გადაკეთება (იმ შიდა

ტიხრების გადაადგილება, რომლებშიც გადის დგარები, სანიწყინარო ქსელები და საყენტილაციო ქსელები), საერთო სარგებლობის ფართების ნებისმიერი ფორმით ცვლილება/გადაკეთება.

3. ამ მუხლით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია გონივრულ ვადებში აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა თავისი ხარჯით და გამყიდველის მოთხოვნიდან 5 დღის ვადაში გადაიხადოს პირგასამტეხლო 5 000 ლარის ოდენობით ყოველ დარღვევაზე. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მყიდველს პირვანდელი მდგომარეობის და ზიანის ანაზღაურების მოვალეობისგან.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

1. მხარე არ აგებს პასუხს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ძთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისთვის, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით და ეს მოვლენები დაიწყო ან განვითარდა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის დღის შემდეგ.
2. ფორს-მაჟორი გულისხმობს ისეთი გარემოების არსებობას, რომელთა დადგომა, შეცვლა ან/და შეწყვეტა მხარის ნებაზე ან/და შესაძლებლობაზე არ არის დამოკიდებული, ანუ წარმოადგენს მხარისათვის დაუძლეველ ძალას, არ არის გამოწვეული ამ მხარის ბრალეული ქმედებით და რომლის დროსაც მხარისთვის ობიექტურად შეუძლებელია მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.
3. ფორს-მაჟორული გარემოების წარმოშობის შემდეგ, მხარე, რომლისთვისაც შეიქმნა ფორს-მაჟორული მდგომარეობა ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ასეთი გარემოების, მისი შესაძლო ხანგრძლივობის (თუ შესაძლებელია ხანგრძლივობის განსაზღვრა) და წინამდებარე ხელშეკრულებაზე მისი შესაძლო ზემოქმედების, ისევე როგორც მისი დასრულების შესახებ.
4. თუ ფორს-მაჟორული გარემოება იწვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე რომელიმე ვალდებულების შესრულების შეყოვნებას, ეს ვადა გაგრძელდება ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების ხანგრძლივობის შესაბამისად.

მუხლი 12. დავები

1. მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო, კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 13. შეტყობინებები/მხარეთა საკორესპონდენციო რეკვიზიტები

1. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ მუხლით მითითებულ მისამართზე, ან იმ მისამართზე, რომელსაც შემდგომში ოფიციალურად შეატყობინებენ მხარეები ერთმანეთს, ან ამ მუხლში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნა ითვლება მხარის (ადრესატის) მიერ შეტყობინების მიღებად, თუ დადასტურდება, რომ იურიდიულ/შესაბამის მისამართზე ან ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინება მივიდა.
2. გამყიდველის საკორესპონდენციო რეკვიზიტებია:
   - მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, ორცაჭალის II შეს. #12, ბინა 6
   - ელექტრონული ფოსტა: info@krtsanisivilla.com

3. მყიდველის საკორესპონდენციო რეკვიზიტები:
- მისამართი:dr sulaiman alhabib hospital, saudia Arabia, Riyadh, olya district , orthopedic building
- ელექტრონული ფოსტა: hazem202000@hotmail.com

მუხლი 14. მარეგულირებელიკანონმდებლობა

1. წინამდებარეხელშეკრულება შედგენილია და განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 15. დასკვნითიდებულებები

1. დაიდება თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 ეგზემპლარად, ქართულ და ინგლისურ ენებზე,სიდანაც ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მყიდველს, ხოლო ორი ეგზემპლიარი რჩება გამყიდველს.ამასთან, მხარეები ვეთანხმდებით, რომ მხარეთა შორის დავის არსებობისას, ხელშეკრულების ქართულენოვან და ინგლისურენოვან ტექსტებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულების ინგლისურენოვან ტექსტს.
2. ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელმოწერები დამოწმებულიანოტარიუსის მიერ.
3. მყიდველი არ არის უფლებამოსილი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-ვალდებულებები დაუთმოს მესამე პირს, გამყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.
4. მხარეები უფლებამოსილნი არიან განახორციელონ ცვლილებები და დამატებები წინამდებარე ხელშეკრულებაში, მხარეთა მიერ ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე.
5. წინამდებარე ხელშეკრულების დანართები ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილია და მოქმედებენ მასთან ერთად.

გამყიდველი:
შპს „კრწანისივილარეზიდენსი KRTSANISI VILLA RESIDENCE "–ს[ს/კ:404458779]
სახელით, დირექტორი
[illegible] კორკოტაძე [პირადი ნომერი:01003010499]

მყიდველი:
ჰაზემ მოჰამედ აბდალმონეიმ ფარაგ[პასპორტის ნომერი:A05097161]
HAZEM MOHAMED ABDALMONEIM FARAG

თარჯიმანი: [illegible]

დანართი #2

ნასყიდობის საგნის (საცხოვრებელი ფართის) ჩაბარების პირობები:

- ამოყვანილი შიდა კედლები;
- გაჯით გალესილი შიდა კედლები;
- ფასადზე ალუმინის კარ–ფანჯარა;
- ფასადის შელესვა და შეღებვა, მოპირკეთება პროექტის მიხედვით;
- მოპირკეთებული ჰოლი, სადარბაზო და კორიდორები;
- აივნების და სადარბაზოს კიბის უჯრედის მოაჯირები – მოწყობილი;
- აივნები/საზაფხულო ფართი – მოპირკეთებული;
- სახურავი მოწყობილი;
- ელექტროობის, ცივი წყლის, გაზისა და კანალიზაციის დგარები მიყვანილი ბინაში;
- გარე კეთილმოწყობა;
- ბინაში წყლისა და ბუნებრივი აირის მილების გაყვანილობა;
- ბინაში ელექტროგაყვანილობის სტანდარტული წერტილები;
- ბინაში შესასვლელი რკინის კარი.

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ოთხ მაისს, მე, საქართველოს ნოტარიუსს **დავით იმნაძეს**, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: *ქ. თბილისი, გახტანგ გორგასლის ქ. №55*, მომმართეს: შ.პ.ს. **"კრწანისი ვილა რეზიდენსი"**-ს დირექტორმა **გიორგი კორკოტაძემ** *(ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, ამონაწერის მომზადების თარიღი 11/04/2017წ. განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B17042196, საიდენტიფიკაციო № 404458779)* და **ჰაზემ მოჰამედ აბდალმონეიმ შარაბმა**. მათ წარმოადგინეს უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება და მოითხოვეს მათი ოთხი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

- **ჰაზემ მოჰამედ აბდალმონეიმ შარაბის** მოთხოვნით *წინამდებარე სანოტარო აქტი შედგა ქართულ და ინგლისურ* ენებზე მის მიერ არჩეული თარჯიმნის **ალბინა ზოტოვას** *(დაბ. 12.08.1986წ. თბილისში, პ. №01011040854, მის. თბილისი, ქეთევან წამებულის №84-86, ბ. 29, დიპლომი ISU №000036, გაც. 10.07.2008წ. სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ)* მონაწილეობით. მე, საქართველოს ნოტარიუსმა *დაეით იმნაძემ* თარჯიმანი გავაფრთხილე, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე. თარჯიმანმა დაადასტურა, რომ ჯეროვნად იცის *ინგლისური ენა* და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს, აგრეთვე გავაფრთხილე **ჰაზემ მოჰამედ აბდალმონეიმ შარაბ** და მის მიერ არჩეული თარჯიმანი თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ. *მან დაადასტურა, რომ არ არსებობს თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებები (სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის მუხლი 24, I, III, IV და V ნაწილი).*

მე შევამოწმე მათი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: **გიორგი კორკოტაძემ** *(დაბ. 10.04.1983წ. თბილისში. პ. №01003010499, მის: თბილისი გ. მაზნიაშვილის ქ. N35)* და **ჰაზემ მოჰამედ აბდალმონეიმ შარაბმა** *(დაბ. 11.03.1979წ. ეგვიპტეში, სოჰაგში. ეგვიპტის მოქალაქის პასპორტი EGY A05097161, გაც. 30.07.2011წ. მის: 12 ნასრ ელდინ ტობარის ქუჩა, სოჰაგი, ეგვიპტე)* მომმართა. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. ხელმომწერთ განემარტათ, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს *ხელშეკრულებაში* მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მასზე. შემდეგ **გიორგი კორკოტაძემ და ჰაზემ მოჰამედ აბდალმონეიმ შარაბმა** ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წარმოდგენილ ხელშეკრულებას.

წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია *ქართულ და ინგლისურ* ენებზე 3 (სამ) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად (თითოეულ ეგზემპლარზე შესრულდა ექვსი ხელმოწერა, ჯამში შესრულდა 18 (თვრამეტი) ხელმოწერა).

სანოტარო მომსახურეობის საზღაური (36,00) ოცდათექვსმეტი ლარი, *თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 31-ე მუხლისა.* აგრეთვე დღგ: (6,48) ექვსი ლარი და ორმოცდარვა თეთრი, *თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 169-ე მუხლისა.* პლიუს: 2.00 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, *თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 39-ე მუხლისა.* სულ (44,48) ორმოცდაოთხი ლარი და ორმოცდარვა თეთრი.

ნოტარიუსი დ. იმნაძე

Real Estate Sales Agreement

Tbilisi 04 May2017

Parties

(1) Buyer – Citizen of Arab Republic of Egypt Hazem Mohamed Abdalmoneim Farag [passport number: A05097161]

(2) Seller - KRTSANISI VILLA RESIDENCE LLC [I/C: 404458779], represented by its Director Giorgi Korkotadze[P/N: 01003010499]

Taking into account that

- The Seller with the property right holds the land plot (02/068) allocated in the settlement Okrokana, in Tbilisi, cadastral code: 01.18.01.002.184 (hereinafter referred as the Land Plot),
- The Seller represents the construction company, which secures construction of the dwelling house at the land plot (hereinafter the Construction),
- The Buyer is interested in purchase of the real estate in the mentioned Construction and agrees to pay the sales price agreed upon by and between the parties,
- The Seller agrees to transfer to the Buyer the sales object with the property right in case of full payment of the sales price by the Buyer,

The parties agreed upon the following:

Article 1. Subject of the Agreement

1. The Seller transfers and the Buyer receives the property right for the property foreseen with the paragraph 2.1 of this Agreement according to the terms and the conditions defined with this Agreement and after implementation of the liabilities undertaken by the parties.
2. The Buyer undertakes the liability to repay to the Seller the Sales Price foreseen with the paragraph 4.1 of this Agreement and to receive the purchased property according to the rule set with this Agreement.

Article 2. Sales Object

1. The Sales Object is the following real estate:
- Zone - Tbilisi
- Sector - Krtsanisi
- Quarter – 01
- Land plot – 002/184
- Floor – 2
- Apartment – 2
- Total area – 76.5
- Among them dwelling area – 76.5
- Summer area – 0
- Land (real estate) cadastral code – 01.18.01.002.184
- Address – Tbilisi, settlement Orkokana (land plot 02/068)/Tbilisi, settlement Orkokana

2. Planning of the Sales Object (Annex #1) is enclosed to this Agreement and is its integral part.
3. The sales property is for future, as its construction and bringing into the standing defined with the Annex#2 of this Agreement shall be carried out in the terms set with the paragraph 4 of the 5th article of this Agreement.

4. During the process of construction, the area of the Sales Object might be changed in the framework of 3 (three) sq. m., which will not affect the sales price. In the event if the area of the Sales Object ischanged in the framework of 3 (three) sq. m., at most to5 sq. m., the recognized difference is due to compensation by the relevant party upon signing of the real estate handover act, which proportionally will cause change of the sale price. Modifications foreseen with this paragraph will not be considered as the defect of the Sales Object.

Article 3. Sales Object Submission Conditions

1. The Seller undertakes the liability to transfer to the Buyer substantially and legally flawless property.
2. Under substantially flawless property the Buyer and the Seller mean the Sales Object in the conditions foreseen with the Annex #2.
3. Under the legally flawless property the Buyer and the Seller mean, that the third party might not claim against the Buyer due to the purchased property.

Article4. Sales Price and Settlement Conditions

1. Value of the sales property is72 500(seventy-two thousand five hundred) USD. The Sales Prices covers VAT. Settlement is carried out in GEL according to the exchange rate set by NBG on the settlement day.
2. Purchase price 72 500 (seventy two thousand five hundred) US dollars is paid by the purchaser as a an advance by the following rule:

2.1. 3 000 (three thousand) USD equivalent in GEL within three working days from the date of signature of this Agreement;

2.2. 40000 (forty thousand) USD no later than May 20, 2017;

2.3. 29 500 (twenty nine thousand five hundred) USD no later than August 01, 2017;

3. Violation of the condition of the payment term on the sum provided with the paragraphs 2.1. And 2.2.of this article by the buyer result in termination of this Agreement.
4. The Buyer shall carry out the settlement to the following bank account:

Receiver - KRTSANISI VILLA RESIDENCE LLC[I/C: 404458779]

Bank – JSC "_TBC"

BIC – TBCBGE22

Account – GE37TB7775636020100001

Article5. Transfer of the property right on the Sales Object

1. The Buyer receives the property right on the Sales Object upon payment of the Sales Price in full according to the rule defined with the Article 4 of this Agreement, and also after complete payment of other arrears (if any) incurred on basis of this Agreement, but no earlier than on 01 August 2017; after complete implementation of the indicated liabilities the act of transfer of the real estate shall be drawn immediately. On basis of the Handover Act of the Real Estate the Buyer received the property right on the Sales Object.
2. Upon signing of the Handover Act of the Real Estate, the advance payment by the Buyer shall be counted for the Sales Price.
3. Procedures for registration of buyer's ownership rights on real estate in the National Register of Public Registry shall be conducted by the seller.
4. The Seller secures bringing in compliance the Sales Object according to the terms and the conditions foreseen with the Annex #2 no later than on 31 september 2017
5. With the purpose to confirm the compliance of the Sales Object with the terms and the conditions foreseen with the Annex #2, the Act of Acceptance shall be drawn by and between the parties. The Seller in the term of 5 (five) days upon receipt of the relevant notification is liable to check the standing of the Sales

Object and to sign the Act of Acceptance or to refer with the written claim to the Seller with the demand to improve the relevant flaw (incompliance with the terms and the conditions foreseen with the Annex #2). If the Buyer fails to sign the Act of Acceptance and does not refer with the written claim to the Seller, upon expiration of the term foreseen with this paragraph it will be considered that the Buyer confirmed compliance of the Sales Object with the terms and the conditions foreseen with the Annex #2.

6. The Buyer is not entitled before bringing by the Seller of the Sales Object in compliance with the terms and the conditions foreseen with the Annex #2and drawing of the Act of Acceptance and the Real Estate Handover Actby and between the parties, with the own initiative to implement repair works and/or any other works at the area.
